№ 39

ოთხშაბათი, 22 თებერვალი 1895

1877—1895

# ივერია

№ 39

ოთხშაბათი, 22 თებერვალი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ნათესების სეტყვისაგან დაზღვევის საურთიერთო საზოგადოების მმართველობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ 1895 წელს 1 თებერვალს გაიხსნა II რიგის დაზღვევა ვენახებისა, თამბაქოსი, სვიისა და სხვა კულტურულ მცენარეულობისა ყველგან.

მმართველობის წევრნი.

დირექტორები: ნ. ცირკუნოვი. გ. იასინსკი. თავ. ფ. ურუსოვი.

გამგე ვ. ტარგონსკი.

საზოგადოების ინსპექტორის პავლე მიხეილის ძის ოკულიჩის მოსკოვში ყოფნის გამო ყოველ-გვარ ცნობებისა და პირობების შეტყობა მსურველთ ვლადიმირ დავითის ძე ქალანთაროვისაგან შეუძლიანთ, ადრესი ძველია, „სევერნი ნომრები“, № 25, დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის.

გამგე ტარგონსკი.

(3—1012—1)

**ვამზადებ ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლების 1-ლის კლასისათვის,** შემიძლიან სახლშიაც ვიარო, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის; მსურველთ შეუძლიანთ პირობები და ადრესი „ივერიის“ რედაქციაში შეიტყონ. (3—უ—2).

## ტფილისი, 22 თებერვალი.

—

თებერვლის პირველს რიცხვებში მთავრობამ ბრძანება გასცა, რომლის ძალით სტუდენტებს აღეკრძალათ ეგრედ წოდებულ ეროვნობის წრეების (землячество) და სხვა ამგვარ დაწესებულებათა დაარსება და ამ წრეებში მონაწილეობის მიღება. განსაკუთრებით მეტად მავნებლად უცვნია მთავრობას წრე „შეერთებულის ეროვნებისა“. ეს უკანასკნელი წრე თურმე პროფესორებსაც მიაჩნიათ მავნებლად, რადგანაც ამ დაწესებულებას საგნად აქვს მასწავლებელთა ამა თუ იმ საქციელის განხილვა და, თუ საჭირო იქმნებოდა, მათთვის უკმაყოფილების გამოცხადება. ცალკე წრეებს-კი სხვა-და-სხვა ეროვნებისას ესევე პროფესორები სასარგებლოდ სთვლიან. მიუხედავად ამისა ახალის განკარგულების ძალით დათხოვნილ-იქმნებიან უნივერსიტეტიდგან ყველა ის სტუდენტები, რომელნიც ეროვნების წრეებს თავს არ დაანებებენ.

ჩვენ არას ვიტყვით «შეერთებულის ეროვნების წრის» შესახებ, მით უმეტეს, რომ, როგორც გაგვიგონია, ამგვარი წრე მხოლოდ ერთს უნივერსიტეტში არსებობს; საზოგადოდ-კი უნივერსიტეტებში აქამდის ცალკე წრეები იყო, რომელთა საგანს, უმეტეს ნაწილად, საქველმოქმედო მოღვაწეობა შეადგენდა.

საკვირველი არა არის-რა, რომ უნივერსიტეტში, სადაც ათას სხვა-და-კუთხიდგან იკრიბება მრავალი ახალგაზდობა, იგი ნაწილდება იმგვარს წრეებად, რომელთა წევრი ერთის რომელისამე ადგილიდგან არიან: ამგვარად შეკავშირებულნი ახალგაზდანი, რასაკვირველია, უფრო დაახლოვებით იცნობენ ერთი-მეორეს, უმეტეს ნაწილად ერთი და იგივე საშუალო სასწავლებელი დაუმთავრებიათ და დიდის ხნის ამხანაგებიც არიან.

ეჭვი არ არის, რომ ერთის ერის, ერთის ქვეყნის ყმაწვილები უფრო შეუთვისდებიან ერთმანეთს და უფრო სასარგებლონი იქნებიან იმ წრისა, რომლის მოვალეობა—საურთიერთო დახმარებაა, როგორც ზნეობრივად აგრეთვე მატერიალურად. ძნელია იმისი აწონვა, თუ რამდენი სარგებლობა და სიკეთე მიუძღვის ამ წრეებს მოზარდ თაობის წინაშე! ამისი დაფასება და განხილვა ჯერ, რასაკვირველია, მოუხერხებელია. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ წრეებს ბევრი ნივთიერი შემწეობა აღმოუჩენია თავის წევრთათვის, ბევრი დაუხსნია საშინელის შიმშილისა და ავადმყოფობისაგან; ამ წრეების წყალობით იყო, რომ მრავალი სტუდენტი გადარჩა უნივერსიტეტებში ფულის შეუტანლობისათვის სასწავლებლიდგან გამორიცხვას. ამიტომაც უცვნიათ პროფესორებსაც ეს წრეები სასარგებლოდ, როგორც ზევით ვსთქვით.

სხვათა შორის, ამგვარი წრე ქართველ სტუდენტებსაც ჰქონდათ და მისი დანიშნულება მხოლოდ ერთი იყო: ნივთიერი დახმარება ღარიბ წევრთათვის. როგორც ნამდვილად ვიცით, ამ წრის მოღვაწეობას ფუჭად არ ჩაუვლია: ბევრ ჩვენებურის ყმაწვილისათვის აღმოუჩენია სახსარი და მიუცია საშუალება სწავლის დამთავრებისა. ამ წრის მოღვაწეობა დიდად შეფერხებული იყო იმათის მეოხებით, რომელთაც კურსის დამთავრების შემდეგ სრულიად ავიწყდებოდათ—რა შემწეობა აღმოუჩინა იმათ ამხანაგების ღარიბმა კასსამ. მაგრამ ეს ქართული ეროვნული წრეები შეძლებისა და-გვარად მაინც ასრულებდნენ თავისს მოვალეობას. ამიერიდგან-კი, ამ დაწესებულებათა არსებობა აღიკრძალია. მაგრამ ის გარემოებანი, რომელთაც გამოიწვიეს საჭიროება ამგვარის წრეებისა, მაინც დარჩნენ და მათი აღკრძალვა შეუძლებელია რომელისამე განკარგულებისა და კანონის ძალით.

ყველამ კარგად ვიცით, რა დიდი გაჭირვება ადგიათ ჩვენს სტუდენტებს რუსეთში; დაბეჯითებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამ მხრით ქართველი სტუდენტები სხვა ხალხის სტუდენტებთან შედარებით უფრო შევიწროებულს მდგომარეობაში არიან. ზემოხსენებულის ბრძანებითა მათ ხელიდგან გამოეცალათ ერთი თვალ-საჩინო იარაღი თავისს სიღარიბესთან საბრძოლველად. მაშასადამე, ცხადია, რომ დღეს ჩვენმა სტუდენტებმა უფრო დიდი ყურადღება უნდა მიიზიდონ ჩვენის საზოგადოებისა და დღეს უფრო გულ-მოდგინედ და მხნედ უნდა აღმოვუჩინოთ დახმარება.

დიდი ხანია ქართველს საზოგადოებაში დაიბადა აზრი, რომ უთუოდ უნდა დაარსდეს ქართველ სტუდენტებთა დამხმარებელი საზოგადოება. თუ არა ვსცდებით, წესდებაც უკვე შემუშავებული იყო და დამზადებული, სადაც ჯერ არს, წარსადგენად, მაგრამ საქმე მიჩუმდა და ჭარავინ იცის, რა მდგომარეობაშია ახლა. ამ „საზოგადოებას შეეძლება სტუდენტების

# ფელეტონი

## საათი.

ჯ. ჯერომისა.

არის ორგვარი საათი: საათი ცრუ და საათი მართალი. პირველმა თვისი სიცრუე ძლიერ კარგად იცის, მაინც-კი სწორედ ამ სიცრუეთი ამაყობს. მეორე-კი ყოველთვის სწორედ დადის, მხოლოდ მაშინ გაუწყრება ღმერთი, როცა იმას დაენდობი, და აი მაშინ განათლებულის კაცობრიობის ყველა უსწორ-მასწორობა სიცრუეს თავზედ შემოიხვევს ხოლმე.

ოჯახში ჩვენ სწორედ მეორე რიგის საათი გვქონდა. ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავ, რომ ერთს მშვენიერს ზამთრის დილას მთელი ოჯახი დალოცვილმა საათმა ღამის სამს საათზედ წამოგვშალა. საუზმე რომ გავათავეთ ოთხს საათს ათი წუთი აკლდა, ხუთი სრული არ იყო, რომ სასწავლებელში წაველი.

სკოლაში მიველი; შესავალი კარები დაკეტილი დამხვდა და იქვე კარების დირეზედ ჩამოვჯექი. ირგვლივ კუშტმა სიბნელემ, შეურყეველმა სიჩუმემ თვალ-წინ ქვეყნიერობის დასასრული წარმომიდგინა და ტირილი დავიწყე.

ვის ოჯახშიაც ამგვარი საათია, ყოვლად შეუძლებელია, რომ ოჯახის უფროსი თვეში ერთხელ მაინც არის მოთმინებიდგან არ გამოვიდეს, არ გაცეცხლდეს, უშვერი სიტყვები არ დახარჯოს და ამითი თვისს ცოდვილს პიროვნებას კიდევ ცოდვა არ მიუმატოს.

ამგვარი საათის უპირველესი ოცნებაა, უეჭველად რკინის გზის მატარებელზედ დაგაგვიანოს. მთელი ერთი კვირა, საშინელის სისწორით გიჩვენებს დროს. საათსა და მზის შორის თუ რაიმე უსწორ-მასწორობა შენიშნე, უეჭველად მზეს გაამტყუნებ, რადგან საათის სისწორეზედ ისე ხარ დარწმუნებული, რომ ერთის წუთით წინ სვლა, ან უკან ჩამორჩენა საათს გულს შუა გაუპობდა და უდროოდ წინაპართ გზას გაუყენებდა. რაკი დარწმუნებული ხარ საათის სისწორეზედ, დამშვიდებული ერთს მშვენიერს დილას ოჯახობას ეთხოვები, ბავშვებს ჰკოცნი და პირობას აძლევ, რომ ყოველსავე დავალებას უნაკლულოდ შეასრულებ. ეტლიდგან უკანასკნელად აძლევ სალამს და რკინის გზის სადგურისაკენ მიჰქრი.

აქამდისინ ვერ ამიხსნია თუ რა მდგომარეობაა სასიამოვნო: ორის ვერსის მანძილზედ გაგიჟებულსავით სირბილი, მეეტლის აჩქარება და რკინის გზის სადგურზედ მისვლისათანავე შეტყობა, რომ მატარებლის წასვლამდე კიდევ ერთი საათია, თუ—მთელი გზა აუჩქარებლივ სიარული, გზა-და-გზა წიგნების საწყობებში შესვლა, გზაზედ შეხვედრილს სულელთან ლაპარაკი და უდარდელად სადგურის ბაქანზედ ფეხის ადგმა სწორედ იმ წუთს, რა წუთსაც მატარებელი სადგურიდგან დაიძვრება?..

რაც შეეხება პირველი რიგის ცრუ საათს, იმისი ქონა საწყენიც-კი არ არის. ყოველთვის დანიშნულს დროზედ მოჰმართავ და არას დროს არ შეამოწმებ. ამ საათის შესახებ პირადი სარგებლობა თავ-მოყვარეობით-კი არა ჰხელმძღვანელობ, არამედ მართლ-მოყვარეობის გრძნობა გამოქმედებს. მერე რა სასიამოვნოა, როცა ჰგრძნობ, რომ შენი მოვალეობა შეასრულე და მომავალში ყოველივე ბრალი-საყვედური აგცდება. საათის ჯეროვანი ცნობა თავიდგან სასოწარკვეთილებასაც გაშორებს. როცა ეკითხები მსახურს რომელი საათია და იგი გიპასუხებს:

— სასადილო ოთახის საათში სამს მეოთხედი აკლია!

ეს პასუხი სრულიად არ გაკვირვებს, არც გაშფოთებს, რადგან შენ უკვე იცი, რომ ნამდვილად სალამოს ცხრა ან ათი საათი უნდა იყოს. მხოლოდ, რაკი გაიხსენებ, რომ ამ ხუთმეტი წამის წინ იგი სულ ორმოცი წამით წასულიყო წინ, იმისი სისწრაფე-სიცოცხლე გაგაკვირვებს.

ჩემი საათი თვის მოურიდებლობა-თავისუფლებით, დარწმუნებით ვამბობ, ყოველ-გვარ თვისს გვარ მანქანას, რაც-კი დღემდის აღმოუჩენია ქვეყნიერობას უკან აყენებს. როგორც დროს მაჩვენებელი, უკეთესი შეუძლებელია და, როგორც გამოცანათა კრებული, ხომ მეტი საგულისხმიერო და ღირს-შესანიშნავია.

მე გამიგონია, რომ ერთს კაცს ჰქონდა თურმე ისეთი საათი, რომლითაც მხოლოდ პატრონს შეეძლო სარგებლობა და იმისი გაგება სხვას არავის შეეძლო.

იგი დიდად აფასებდა თვისს საათს და დარწმუნებით ამბობდა, რომ იმისი საათი ყოველთვის ადამიანის ნდობის ღირსი იყო, მხოლოდ-კი იმისი წეს-რიგი და ჩვეულება უნდა შეგესწავლა.

— მაგალითად, ამბობდა იგი, როცა ჩემი საათი თხუთმეტჯერ დარეკავს და თორმეტის ოცს წამს აჩვენებს, მე ვიცი, რომ იმ დროს რვა საათს თხუთმეტი წამი აკლია!

დიაღ, საჭირო იყო მხოლოდ იმისი წეს-რიგის და ჩვეულების შესწავლა.

მაგრამ ჩემი საათი სულ სხვა ხასიათისაა. ამას წეს-რიგი არავითარი არა აქვს და მისი მდგომარეობა საკუთარს გუნებაზეა დამოკიდებული. დღეს გასაოცარს სიფიცხეს გამოიჩენს, დილით სამი საათით წინ წავა; მეორე დღეს ძლივსღა მიჩანჩალებს, ყოველს ოთხს საათზედ ორი საათით უკანა რჩება და შუადღისას-კი მოღლილ-მოქანცული ისვენებს; საღამოთი კვლავ გამხიარულდება და თავის-თავადვე იწყებს მუშაობას.

ჩემს საათზედ დიდს საუბარს არ გავაბამ; ვიტყვი მხოლოდ, რომ რასაც-კი ვამბობ, წმინდა სიმართლეა. მაგრამ, ვიცი, მკითხველი იტყვის, რომ ვუმატებ და ვამლაშებ. ვერ წარმოიდგენთ, რა უბედურობაა, როცა ჰგრძნობ, რომ მკითხველი არ გერწმუნება და შენს აზრს, სიტყვას გარდამეტებულად სთვლის.

მაშინაც-კი, როდესაც ყოველს ღონესა-ჰღონობ მკითხველს უეჭველად მართალი ამბავი უამბო. მაინც ურწმუნობა ძლიერ არის გავრცელებული და შენც რას იზავ, რომ უეჭველად არ გადაამეტო, მხოლოდ იმიტომ, რომ მკითხველმა რაიმე განსხვავება, შიგჭრელობა ჰპოვოს შენს ნაამბობში.

მეც ხშირად მებადება გარდამეტების სურვილი, მაგრამ ბავშვობიდგანვე წესიერი აღზრდა ამ უბედურებისაგან მიხსნის ხოლმე. სწორედ რომ ყველა უნდა ერიდოს გარდამეტებას, თორემ ერთი წაცდენა ჩვეულებად გარდაექცევა და ჩვეულება—სიმტკიცედ ხომ მალე გარდაიქმნება ხოლმე.

ასეა თუ ისე, გარდამატება მეტი გავრცელებული ზნეა. ძველს დროში ეს ზნე მხოლოდ პოეტებისა და მხატვართა კუთვნილებას შეადგენდა; ეს იმათ ღირსებათაც ეთვლებოდათ, რადგან უსიცოცხლოს—სიცოცხლე უნერგავდნენ.

აწინდელს დროში-კი ცრუ და მავნე მხოლოდ გარდამეტებით-ღა სცოცხლობს. ახლა სასწავლო საგანთა შორის გარდამეტებითი სწავლა არასავალდებულოდ არის ჩათვლილი; მაინც-კი გარდამეტება აუცილებელ ჰახრაკად შეიქმნა ცხოვრებითი ბრძოლაში.

მთელი ქვეყნიერობა გარდამეტებაზეა დამყარებული; უკანასკნელის გაყიდულის წლის რაოდენობიდგან მო-

წრეების მაგიერობა იკისროს და უფრო მეტის სარგებლობის მოტანასაც მოახერხებს. ამისათვის საჭიროა, რომ არ დავიგვიანოთ და განვახორციელოთ ის, რაც ცხოვრებას კარგა ხანია მოუთხოვნია და რასაც ახლა უფრო დაბეჯითებით თხოულობს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქართველობა, რომელიც არა ერთხელ დაჰხმარებია სტუდენტებს, არაფერს არ დაიშურებს, რომ ამ საჭირო „საზოგადოებამ“ იხეიროს. საქმეს დაწყება უნდა და ორიოდე მოთავე. ჩვენ წინ-და-წინვე ვწინასწარმეტყველობთ, რომ ამ მოთავეებს არ გაუჭირდებათ საქმის რიგიანად მოწყობა. დღემდის მეტს ენერგიას და გულმოდგინეობას ღარიბ სტუდენტების დასახმარებლად ქართველი ქალები იჩენდნენ, იმედი ვიქონიოთ, რომ ახლაც ისინი წარუძღვებიან ამ საქმეს.

ლალი.

---

# ახალი ამბავი

** ქალაქის მოურავის მოადგილემ ბ-ნს ა. ა. ივანენკოს, მისგან გაგზავნილ დეპეშაზედ, რომლითაც იგი ქალაქის თვით-მმართველობის მხრივ სამძიმარს უცხადებდა მისს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს ვაჟიშვილის გარდაცვალებისა გამო გუშინ, 21 თებერვალს, შემდეგი საპასუხო დეპეშა მოუვიდა.

„დიდი თანაგრძნობა ძვირფასის ტფილისისა მანუგეშებს, მაგრამ არ მაკვირვებს-კი, რადგან კარგად ვიცი, რომ იგი ყოველთვის თანაუგრძნობს ყოველსავე, რაც-კი ჩემს ოჯახს შეეხება. გულ-წრფელად, გულ ითადად გმადლობთ ყველას.

მიხეილი“.

** ქალაქის მოურავის მოადგილემ ბ. ივანენკომ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მისს იმპერატორებითს უმაღლესობას დიდს მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს: ტფილისის სამოქალაქო გამგეობამ, ღრმად შეწუხებულმა გულსატკენის შემთხვევით, რომლითაც თქვენმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ ძვირფასი დასაკარგავი დაჰკარგა, შესწყვიტა მორიგი კრება დღეს და შევედრა-რა გულმხურვალედ ზენაარსს, რათა განუსვენოს სულსა გარდაცვალებულის დიდის მთავრის ალექსი მიხეილის ძისას, მომანდო გამოვუცხადო თქვენს იმპერატორებითს უმაღლესობას გრძნობანი წრფელის სამძიმრისა და ღრმა მწუხარებისა ქ. ტფილისის ყველა მცხოვრებთა მაგიერ, რომელნიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან თქვენის იმპერატორებითის უმაღლესობისა.

** ქალაქის საბჭოს ხმოსანთაგნი ამორჩეულია კომისია მეეტლეთა ნიხრის შესაცვლელად და შესამცირებლად. სხვათა შორის, კომისია იმ აზრისაა, რომ ერთის გზის ტარებისათვის ეტლის ფასი აბაზი, ან ხუთი შაური დააწესონ აწინდელ ექვსის შაურის ნაცვლად. გუშინ 21 თებერვალს, მეეტლეებმა თხოვნა მიართვეს ქალაქის გამგეობას და სთხოვენ, რომ ნუ შეამცირებთ ნიხრს, ქალაქი გადიდდა, გზა უფრო გაგრძელდა და ამას გარდა ტყავიც გაძვირდაო. თუ შეამცირეთ ნიხრი, სულ ერთიანად დავიღუპებითო; კი არ უნდა შემცირდეს, უნდა მიემატოს ნიხრს, რადგან ხშირად ორ-ორს ვერსს დავდივართ ექვს შაურადაო. თუ აწინდელ ფასების დატოვებას შესაძლებელად ვერ დაინახავთ, კარგად დაანაწილეთ გზები, დიდი სავლელი გზები შეამცირეთ და ზოგიერთს შემთხვევაში ნება მოგვეცით ეტლის დამქირავებელთ ფასში ნებაყოფლობით მოვურიგდეთ უნიხროდაო.

** 20 თებერვალს კრება ჰქონდა ქალაქის ტყის გამშენებელსა და ბაღების ზედამხედველს კომისიას. კომისიამ, სხვათა შორის, დაადგინა: კუკიის აგარაკი უფრო მოაშენოს, რამდენადაც-კი შესაძლებელი იქნება; ხეები ჩარგოს ავჭალისა, კირკისა, ალექსანდრეს, ნიკოლოოზისა და აგრეთვე მიხეილის ქუჩებზედ; ერთი მუშა დაიქირაოს, რომ იმან ადევნოს თვალ-ყური ქუჩებში დარგულს ხეებს ბ უდარაჯოს; შუამდგომლობა დაიწყოს, რომ ალექსანდრეს ბაღის ზემო ნაწილში, სადაც იმყოფება ტაძარი დიდებისა, გაკეთდეს სამი თუჯის კარები და ერთი ფარდული, რისთვისაც 500 მან. გადაიდოს; იქვე გაიმართოს წყლის მილი ბაღის მოსარწყავადა და აუზისათვის; კვალებს ეკალიანი მავთული შემოერტყას ლობედ, რომ მოსეირნე ხალხი აღარ ახდენდეს და ზემო და ქვემო ალექსანდრეს ბაღში ახალი სკამები დაიდგას.

** ახალგორი: 15 თებერვალს მზარეული ზაქარა ბუთხუზი, რომელიც ნასადილევს თავისს სახლში წავიდა — სიმთვრალის გამო ქსანში დაირჩო. ეს ამბავი მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ აღმოჩნდა გვამი ქსნის პირას იპოვეს გამორიყული, რომელსაც გარდა ქუდისა, ზედვე უპოვეს ვერცხლის—ქამარ-ხანჯალი და მასრები.

** ზაზალა: 21 თებერვალს, დილის 4 საათზედ, ორი საქონლის მატარებელი № 47 და 50 ერთმანეთს დაეჯახა, 14 ვაგონი დაიმსხვრა. კაცი არავინ მომკვდარა.

** ბაქო: ბაქოდგან იწერებიან, რომ ახლო მომავალში აქაური ქართველებიც ვეცდებით ქართულს სასწავლებელსაო. როგორც ხმა დადის უკვე შესდგომიან სასწავლებლის ასაგებად საჭირო მასალის მომზადებას.

** ოძისი, (ქსნის ხეობა): 20 თებ. წრევანდელისებურს ზამთარს თითქმის ჯერ არ შევსწრებივართ. მშვენიერის დარებით გადის თებერვალი. ყოველი საგაზაფხულო საქმე კარგის ამინდების წყალობით ზამთრითვე მოვიშორეთ, მხოლოდ ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ გაზაფხულის დასაწყისში გვესაჭიროება ნამიანი დღეები, რათა ყველა მცენარეულობა უხვად აღმოცენდეს.

—

## შეცდომის გასწორება.

—

გუშინდელს ლექსში შეცდომით არის პირველს სტრიქონში: „სატანჯველად გაჩენილო“, უნდა იყოს „ჩემს მტანჯველად გაჩენილო“. მეორე ადგილას: „მუდამ თვალწინ მეხუტება“ უნდა იყოს მუდამ თვალწინ მეხატება.

---

## კორესპონდენცია.

—

**ოზურგეთი.** კარგა ხანია, რაც ოზურგეთში არავითარი გასართობი არა გვქონია. თებერვლის პირველს რიცხვებში გავიგეთ, რომ ბ. ფ. ქორიძის თაოსნობით 9 თებერვალს გაიმართება საქალებო სკოლის დარბაზში წარმოდგენა და კონცერტიო. ამ ამბავმა ძალიან გაგვახარა და დიდის სიხარულით მოველოდით ზემოაღნიშნულს დღეს. ეს ამბავი მით უფრო გვახარებდა, რომ პატივცემული ფილიმონ ქორიძე იგალობებდა.

აღნიშნულს დღეს ზალა ხალხით გაიჭედა და წარმოდგენაც დაიწყო.

ა) წარმოადგინეს რუსული პიესა „Добрый баринъ“ (კეთილი ბატონი), ოსტროვსკისა. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნი ლიდა ლუდკოვსკისა და ბ-ნნი სუხოვი და გრიდნევი. პიესამ ჩინებულად ჩაიარა.

მეორედ წარმოდგენილ იქმნა „ახირებულია“ ნათარ. რუსულიდ. ნ. პ. ყიფიანისაგან. მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნნი ე. გ. კეჟერაძისა, მ. ი. ჯაყელისა და ბ-ნნი ნ. კალანდარიშვილი, გ. ქიქოძე და ი. გომელაური. ყველამ თავიანთი როლი მწყობრად ჩაატარა; მაგრამ განსაკუთრებითი ყურადღება საზოგადოებისა მიიქცია ბ-ნმა გომელაურმა, რომელმაც აკაკიევის (ჩათლახის) როლი მშვენიერად და კომიკურად დაგვისურათა.

დასასრულ იმღერა ბ-ნმა ფილიმონ ქორიძემ, მაგრამ, სამწუხაროდ, ორიოდე სიმღერის მეტი არ გვაღირსა. ამას გარდა იმღერეს კიდევ: ქ-მა კეჟერაძისამ დ კ. გ. კეჟერაძემ, რომლითაც დიდად ასიამოვნეს საზოგადოება. ყველა მომღერლები საზოგადოებისაგან დაჯილდოებულ იქმნენ ტაშის-ცემითა და ვაშას ძახილით.

დიდის მადლობის ღირსია ბ-ნი ფ. ქორიძე, რომელიც ისეთ მძიმე შრომასთან, როგორიც არის ქართულის გალობის ნოტებზედ გადაღება, ას-წრებს კიდევ წარმოდგენის გამართვას და ხალხში ავრცელებს მუსიკალურს ცოდნას.

კალუ.

---

## ს ა რ კ ე.

—

ჰა, ქვეყნის სარკე!.. ხომ ჰხედავ,
ამ ტურფა ქვეყანაზედა
იხახვის მხოლოდ ვაება
და ცრემლი ხალხის თვალზედა?..

—

ენა და ფული გამეფდა
უწმინდესს სამართალზედა,
ბეჩავნი გმინვა-ვაებით,
მუდამ იღვწიან ძალზედა...

—

---

კიდებული ქრისტეს სარწმუნოების მიმღებთა წარმართთა რაოდენობამდე ყოველივე ახლანდელს დროში გარდამეტებულია.

გარდამეტება ჩვენს აღებ-მიცემობას საფუძვლად დაედო; ჩვენის ხელოვნების, ლიტერატურის და თავისუფალის ცხოვრების უპირველესს საშუალებად გარდამეტება შეიქმნა.

ბავშვობით ჩვენს სიყოჩაღე-მოხერხებას და მშობლების ვალებს ერთი-ორად ვზრდით. ჭაბუკობაში ჩვენი გრძნობა და ჯამაგირ-შემოსავალი მეტად გარდამეტებულია. შემოსავალის რაოდენობას მხოლოდ მაშინ ვაფოლებთ, როცა ხარჯის მკრეფავს ვხედავთ, სამაგიეროდ იმასთან ხარჯის რაოდენებას ვამეტებთ. ქველმოქმედება და თვით ნაკლულევანებაც-კი ჩვენში გარდამეტებით არის გამოქვეყნებული.

ერთის სიტყვით, ისე წავირიყენით, რომ ვცდილობთ გარდამეტება თვით ოჯახობრივს ცხოვრებაშიაც შევიტანოთ. ამას ჩვენ „წესიერების დაცვას“ ვუწოდებთ.

განა ათი თუმანი შემოსავალი ჩვენისავე სიტყვით ოცათ და ოც-და-ათად არ არის გადიდებული? საკუჭნაოში სიმშილისაგან თაგვები კედლებს ეყუდებიან, ბუხარი გაციებულია, მაინც ბედნიერადა ვთვლით ჩვენს თავს, თუ „ქვეყანა“ (ე. ი. ექვსიოდე ნაცნობი) ჩვენს შემოსავალს ოც თუმნობითა სთვლის. ნამდვილს ორმოც-დაათს თუმანს ას თუმნად, ას-ორასად და ამგვარად ჩვენი პატივცემული „ქვეყანა“ (ეხლა-კი თექვსმეტი ნაცნობი) დარწმუნებულია, რომ ჩვენი შემოსავალი ათას თუმანს აღემატება... მაგრამ აბა ჰკითხეთ ყასაბს და მეპურეს, რომელთაც ჩვენს მსახურთან აქვთ ანგარიში? იმათ ყველაზედ უკედ იციან ჩვენის შეძლების რაოდენობა.

მართალი და საბუთი ახლანდელს დროში, ჩემო მეგობრებო, უკუ-ქცეულია. თვით ჭკვიანი ადამიანიც-კი მხოლოდ გარეგნობას-ღა ეტანება. მაგარი საიმედო საძირკველი მოგვბეზრდა და ჩვენს ათას გვარად აჭრელებულს სახლებს ჭაობიანს და ჩრდილს ადგილებზედ ვაშენებთ.

სახლში მცხოვრებნი ძლიერ კარგადა ვგრძნობთ, რომ სახლს ყოველს თითოეულს ოთახში ცივი და სინესტე ბუდობს და ოთახის ჰაერს მთლად ჰშხამავს, ამიტომ არის რომ ოქროს ღრუბლების გადნობას და ჭაობიანი მიდამოს მკვიდრს ნიადაგზედ შეცვლას ასე მოუთმენლად ველით. მაგრამ... რა მოსატანია ჩვენი სიღარიბე და ჩვენი შიში. სხვისთვის ჩვენი სახლი ხომ მშვენიერი და ბრწყინვალეა? მიწის მუშები დაბლიდგან შემოგვცქერიან, ჩვენი კეთილი ცხოვრება ჰშურთ. ხომ პატარაობიდამ შეგვასწავლეს, რომ ჩვენთვის-კი არა სხვის დასანახად უნდა ვიცხოვროთ და ჩვენც მეტი რა ღონე გვაქვს', რომ ჯეროვნად არ მივსდიოთ ჩვენს სწავლას. დიაღ, დიდს მსხვერპლსა ვსწირავთ ჩვენის განუსაზღვრელის ნდობით ან ახალს მეფეს —მთავრის მოტყუებისა და მის მეუღლე უკმაყოფილების პირმშო შვილს.

ასე პატივცემული გაღმერთებული არც ერთი უწინდელი მტარვალი არა ყოფილა... არც ერთი თვით-მპყრობელი ამის ოდენა ქვეყანას არ განაგებდა. არა, არ არის ისეთი უძლიერესი თვით-მპყრობელი, როგორც მეფე გარყვნილობა მთავარი მოტყუება და ხელმწიფე ზრდილობა, დღეს მთელი კაცობრიობა მათ წინაშე მუხლ და ქედ მოხრილია. მაგრამ მეგობრებო, გულს ნუ გავიტეხთ, ცდას ნუ მოვაკლებთ, რადგან ჩვენი მბრძანებელი უძლო და უძარღვო გაბერილი ბურთია. ვეცადნეთ ხელიდგან არ გაუშვათ, როდემ ძირს დაეცემა და ძველმანების გროვად იქცევა და ჩვენც დავიღუპებით. მთელი სიცოცხლე მის სამსახურში გავატაროთ, ე. ი. ჰაერით ვბეროთ, მინამ თითონვე არ გასქდება და ჩვენც თან არ ჩაგვიტანს.

ოდესმე-კი უნდა გასქდეს, რადგან ეს ყველა მეტის-მეტად გაბერილის ბურთის აუცილებელი წერაა. მაგრამ მინამ იგი ჩვენი მბრძანებელია ჩვენც გარეგანს გაბერილობა-გარდამეტება-სიცრუეს უნდა მივსდიოთ. ბედნიერი და წარმატებული იგია, ვინც უფრო ოსტატურად ცრუობს და მოხერხებით ჰფლიდობს და იბერება.

თვით ქვეყნიერება სოფლის სავაჭრო მოედანია! ჩვენც ჩვენს ათას ფერადს აჭრელებულს ფარდულებში ვდგევართ და რაც ძალ-ღონე გვაქვს საყვირს უკრავთ:

— ხალხნო! ჩემი საპონი იყიდეთ და ყოველთვის ახალ-გაზდა იქნებით; მელოტს თავზე კვლავ ხუჭუჭი თმა ამოგივათ! არ გაჰღარიბდებით, უბედურება აგცდებათ! ჩემი საპონი ყველაზედ უკეთესია და მიბაძვას ერიდეთ.

— იყიდეთ ჩემი წამალი! ვისაც-კი თავი, მუცელი, ან ფეხი გტკივათ; დამტვრეული სხეული და დამტვრეული გულის უებარი საშუალებაა. დღეში ერთი ბოთლი დალიეთ და ყველა სატკივრები გაგივლით!

— კეთილ-შობილნო და კეთილგონიერნო ამომრჩეველნო! თქვენი კენჭი ჩემს სასარგებლოდ მოიღეთ და ქვეყნიერება შეიცვლება; ცოდვა და დარდი დედამიწის პირიდგან აღიგვება!

— მხოლოდ ჩემს ფილოსოფიას უგდეთ ყური! იგი უკეთესი და უღრმესია! მოისმინეთ ჩემი სიმღერა, იგი ყველაზედ მწყობრივი და ჰანგიანია. იყიდეთ ჩემი სურათები, მხოლოდ იმათში იხატება ნამდვილი ხელოვნება! ჩემი წიგნები იკითხეთ, ჭეშმარიტ სიბრძნე-ჭკუას ისინი გასწავლიან.

— მე ყველაზედ პატიოსანი ვაჭარი ვარ!

მე გმირი და ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე ვარ! მე—უკეთესი რედაქტორი! მე—უდიდესი პატრიოტი! ჩვენდიადი ხალხი! ჩვენი სარწმუნოება საუკეთესოა!..

ღმერთო ჩემო, რა ჟრიამულია! არავინ-კა ერთს სიტყვასაც არ გვიჯერებს. ერთი მეორეს ეკითხება:

— ღვთის გულისათვის მითხარით ამ მყვირალთა შორის ვინ უფრო შესანიშნავი და უკეთესი ადამიანი?

მეორე უპასუხებს:

— მაგათში არც ღირს-შესანიშნავი და არც კარგი არავინ არის!

კარგს და პატიოსანს ამ გახრწნილს მყვირალა ბრბოში ადგილი არა აქვს. ყველა ესენი მხოლოდ მყვირალა მამლები არიან, და ხომ იცი, ვინც უფრო მაღლა ჰყვირის, დიდიც და ძლიერიც იგია! ეს იმისი ღვაწლია!

ჩვენც რაღა დაგვრჩენია, რომ არ ვიყვიროთ, როცა უძლიერესად და ღირსშესანიშნავად ქვეყანაზედ იგი ითვლება, ვინც უფრო რიხიანად ხანგრძლივად ჰყვირის იმ ნაგვის გროვაზედ, რომელსაც ჩვენ ხმელეთს ვუწოდებთ.

მაგრამ მე ხომ ჩემის საათის ამბავი უნდა მომეხსენებინა. საათის შეძენის აზრი ჩემს ცოლს ეკუთვნის. შემთხვევით სადილად ბეგლსონთან ვიყავით; სწორედ იმ დროს ბეგლსონს თვის სასადილოსათვის კედლის საათი „ესეკში მოესხლიტა“, როგორც თვითონ გვითხრა. ბეგლსი სულ ჰსხლეტავს, უშველებელს ჩუქურთმით შემკულს საწოლზედ მიგვითითებს და ამაყად იტყვის ხოლმე.

— ურიგო ნივთი არ არის! ეს ჰოლანდიაში მოვსხლიტე; გეგონება სადმე გზაში უნახავს და როცა დრო უხელთია, არავინ დამინახოსო, მოუსხლეტია და ჯიბისკენ უკრავს. ბეგლისი თვისის საათით აღტაცებული იყო. საათი ძველი დროისა და უშველებელი რამ იყო. ოთახის კუთხეში მუხის მაგარ მაგიდაზედ იდგა და ამაყად—დინჯად გაჰქონდა რაკა-რუკი... ბეგლსმა

სიცრუე სჭარბობს სიმართლეს,
ისე ვით კატას ლომია
და ხალხთა შორის ურიცხვი
უქმად, უსაქმოდ მდგომია...

—

საბოქაულოს ჰპატრონობს
ტურა, მელა და მგელია,
მათთვის ყოველგან, ყოველთვის,
ქორ-წილია და რთველია;

—

ვექილი მართალს არ მისდევს,
იმისი კერპი ფულია;
არბევს ქვრივ-ოხერს, საპყართა,
მითი უტკბება გულია:

—

ვაჭარი ადლს და სასწორსა
არ ხმარობს, ვითა წესია,
მით მოიხვეჭა სიმდიდრე,
რაც სხვის ოფლს დაუთესია.

—

ღვინით გაჟღენთილს ხელოსანს
გული უფეთქავს ცხარედა,
ვერა ჰგრძნობს მიზეზს და მუდამ
დასტირის ბედსა მწარედა;

—

მწყემსი მოძღვრებას გადუდგა,
არ გვასმენს ქადაგებასა,
ფარა მგელს მისცა და თითონ
ჰფიქრობს ღხინსა და შვებასა;

—

ექიმი უსასყიდლოთა
სნეულს არ აძლევს შვებასა,
მისს გულში ბინა არა აქვს
ღარიბთა შებრალებასა...

—

კარ-ჩაკეტილში ოცნებობს
ჩვენი ლიბელარ—გმირები:
აშორე, ყოვლის მპყრობელო,
ჩვენს მხარეს ტანჯვა, ჭირები;

—

მგოსანი განზე გაურბის
ქვეყნის ჭირს, იმის დრამასა
და ძალის-ძლად გვასინჯებს
უცნაურს პანორამასა!..

დ. ნინოწმინდელი.

## რუსეთის ცხოვრება.

—

„როზგის“ მოსპობის შესახებ აღძრული ბაასი, როგორც მოსალოდნელი იყო, „გრაჟდანინს“ საშინლად სწყინს. „ეს რა უბედურებააო,—წუწუნებს თავ. მეშჩერსკი,—რომ არ მოგვასვენეს, რომ არ იქნა და არ დაწყნარდნენ ეს „ლიბერალები“-ო!

—

„მოსკოვ. ვედომოსტ.“-ი იუწყება, რომ შაბათს, 18 თებერვალს, რუსეთის რწმუნებულები ხელს მოაწერენ დანიასთან საკავშირო სავაჭრო ხელშეკრულობასაო.

—

თებერვლის ნახევარში ფინანსთა სამინისტროსთან კრება ჰქონდათ ნავთის I და II მწარმოებელთა ამხანაგობათ. ამ კრების შედგენის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ, როგორც უკვე ცნობილია, 1893 წ. შესდგა ნავთის მწარმოებელთა ორი ამხანაგობა, რომლებიც, როგორც შემდეგში აღმოჩნდა, ერთის მხრივ ავიწროებდნენ წვრილ მწარმოებელთ და მეორეს მხრივ, რადგანაც მათ ხელში იყო ნავთის გადასაზიდი იარაღები, გადასატანი ფასი ასწიეს. ამხანაგობათა ამ გვარმა მოქმედებამ წვრილ მწარმოებელთა უთანხმოება გამოიწვია და ფინანსთა სამინისტრომ საჭიროდ დაინახა კრება მოეხდინა. ახლა გაზეთ „მოსკ. ვედომ.“-ს გაუგონია, რომ ფინანსთა სამინისტროს შეუდგენია ერთი ამხანაგობა, რომლის მმართველობაც მოვალეა სამართლიანად მოექცეს ამხანაგობის ყოველს წევრს, თუნდაც იგი წვრილი მწარმოებელი იყოს. წინააღმდეგს შემთხვევაში, ამხანაგობას ჩამოერთმევა ნაბოძები შეღავათი, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ საზღვარ-გარეთ გაგზავნილის ნავთის თითოეულს ფუთზედ 10 კაპ. ნაკლები ერთმევათ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობისაგან.

—

ყველაზედ დიდი ნაკლი ჩვენის რკინის გზებისა ის არის, ამბობს მოსკოვის ერთი გაზეთი, რომ მესამე კლასით მოგზაურთათვის ძლიერ ცოტა ფასია დაკლებული. ამიტომ საჭიროა, რომ მეოთხე კლასიც იქმნას შემოღებულიო. ამ დღეებში მოსკოვში დეპეშა მისულა, რომ მოსკოვსა და პეტერბურგს შუა ამიერიდგან მეოთხე კლასიც იმუშავებსო. კარგი იქმნება, რომ ეს ცვლილება მარტო ნიკოლოოზის გზაზედ კი-არა მთელს რუსეთში იყოს შემოღებულიო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

გუშინ მოხსენებული გვქონდა, რა გულის ცემით ადევნებენ თვალს რუსული გაზეთები სლავების მდგომარეობას უცხო სახელმწიფოებში. ვაი იმ სახელმწიფოს, რომელიც ცუდად ეკიდება სლავებს; რუსული გაზეთები მას სულ ბდღვირს აადენენ ხოლმე.

სამაგიეროდ იგივე გაზეთები საოცარის გულცივობით და უხალისოდ ეკიდებიან არა-სლავთა ერის მდგომარეობას.

გაზ. „მოსკ. ვედ.“-ში დაბეჭდილია კორესპონდენცია სტამბოლიდგან, სადაც ამ კილოთია ნაამბობი სომხების მდგომარეობა.

სომხების საქმე სხვას-კი არას წარმოადგენს იმის მეტს, რომ ერთმა მეორეს მოატყუოს. სომხები ინგლისელებს ატყუებენ, ლორდ კომბერლეი სულთანს თვალის ახვევას უპირებს, სულთანი კიდევ მისსიონერებს ატყუებს და მისსიონერები-კი ასულელებენ,—როგორც ოსმალოს, ისევე ინგლისს, მართლ-მადიდებელ და კათოლიკე სომხებს და ყველაზედ უფრო ხმა-მაღლა ღრიალებენ, თუმცა-კი იციან ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს მეთაური ატყუილებს მათ. ამ საქმეში ერთად-ერთი მართალი ის არის, რომ მართალი სულ არა არის რა.

ნუ თუ შესაძლებელია ამ კილოთი ლაპარაკი იმ საქმეზედ, რომელიც ადამიანის სისხლით არის მორწყული!..

—

მოსკოველი გაზ. „მოსკ. ვედ.“ დღეს პეტერბურგელს გაზ. „სვეტს“ გაუწყრა, თუმცა არ ყოფილა ისეთი დრო, როდესაც კატკოვისეული გაზეთი «სვეტთან» ე. ი. „სინათლესთან“ მწყრალად არ ყოფილიყო. კინკლაობა ამ ორ გაზეთს ქალაქ პეტერბურგისა და მოსკოვის მნიშვნელობაზედ მოუხდათ.

«სვეტი» ამბობს: საკმარისი არ არის მარტო გულის-თქმით ვიმოქმედოთ, დრო არის თავსაც დავუჯეროთ ხოლმეო, ე. ი. რუსეთის იმპერიის გული მოსკოვია და პეტერბურგი-კი თავიო.

ამაზედ მოსკოველი გაზეთი უპასუხებს:

ვინ მოგახსენათ, რომ პეტერბურგი თავიაო. პეტერბურგი ადმინისტრატიული ცენტრია და მას ისეთი მნიშვნელობა აქვს, როგორც რომელსამე ჩებოქსარას და კობელიაკას ექმნებოდაო, რეზიდენცია იქ რომ გადაეტანათ. თუ გონების მხრით არასოდეს არ ყოფილა, ვიგულისხმებთ, რუსეთის თავად პეტერბურგი, იგი ყოველთვის ძალად მიკერებული კოპი იყო, რომელიც ასე ხშირად ანთებასა ჰგვრი და რუსის გონიერებასაო.

ზემოხსენებული კამათი უნებურად გვაგონებს ორ „არა გონიერ“ ძმათა კამათს, ერთი ამბობდა: «განჯა სჯობია, მეორე-კი უმტკიცებდა, «ერევანიო». კინკლაობა ისე გამწვავდა მათ შორის, რომ ბოლოს ხანჯლებით დაჰხოცეს ერთმანეთი.

## პერიოდიული გამოცემანი იაპონიაში.

—

ჟურნალ „Revue des Revues“-ში ერთს იაპონელს პოეტს დაუბეჭდია ცნობანი იაპონიის ჟურნალ გაზეთების შესახებ.

ამ ოც-და-ათის წლის წინად იაპონიაში სულ არ ყოფილა არც გაზეთი და არც ჟურნალი. რაღაც ამ ათიოდე წლიწადში გამრავლდნენ ჟურნალ გაზეთები, ისე რომ ამ ჟამად ტოკიოში ოთხასი ყოველ-დღიური გაზეთი გამოდის და სამასი ჟურნალი. პირველი გაზეთი «მოშივოგუსსა» ვინმე კიშიდმა გამოსცა. მაშინ ბეჭვდითის სიტყვის თავისუფლება მეტად აღაგმული ყოფილა იაპონიაში. პოლიტიკაზედ წერის ნებას სულ არ აძლევდნენ.

პირველი ყოველ-დღიური დიდი გაზეთი «უბინ-ეხოში-შინ-ბუნ» 1872 წელს გამოვიდა (გაზეთის სათაური ჰნიშნავს: («ფოსტა—განცხადებანი—ახალი ამბები»). ამ ჟამად ყველაზედ უფრო მეტად გავრცელებულია ყოველ-დღიური გაზეთი «ჯიდი—შინ—ბუნ» (საქმე—განცხ.—ახ. ამ.), რომელიც 1883 წელს დაარსდა. იგი ოპოზიციის ორგანოდ ითვლება და მომხრეა ევროპის ცივილიზაციისა. ამის გარდა ორი ოფიციალური გაზეთიც გამოდის: «ტოკიო—ნიტიმტი—შინბუ» და «კოკიბუნ—შინბუ». ეს უკანასკნელი ჩინეთ-იაპონიის ომის ილიუსტრაციებსაცა ჰხატავს ამ ჟამად. რადიკალებსაც აქვთ თავისი ორგანო «ნიტსუპუ» (იაპონელი). წერილების უმთავრესი ნაწილი ხელ-მოუწერელია, ანუ ფსევდონიმებით არის მოწერილი. ეს აუცილებელია, რადგან ბევრი მწერალია იაპონიაში, რომელნიც არისტოკრატიასა და უმაღლესის მთავრობის მოხელეებს ეკუთვნიან. წინად „ყოველ-დღიური“ გაზე-

---

სთქვა, რომ საათის დინჯი სიარული და ხმა ძლიერ მომწონსო, რადგან, როცა ოთახში მარტოდ ჩუმათა ვზივარ, მგონია, რომ რომელიმე ძველი მეგობარი ძველს ნაცნობთა ჩვეულება-ხასიათის ამბავს მიამბობსო.

ამ საათმა ჩემს ცოლზედ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. სახლში რომ დავბრუნდით, მთელი გზა დაფიქრებული და გაჩუმებული იყო. შინ რომ მივედით უცებ მითხრა.

— ურიგო არ იქნება, ჩვენც რომ იმგვარი საათი შევიძინოთ; თანაც დაუმატა. იმისთანა საათი სახლში სწორედ მფარველი ანგელოსია, მომეტებულად პატარისათვის.

მყვანდა ერთი ნაცნობი, რომლისაგანაც ხან-და ხან ნახმარს ნივთებს ვყიდულობდი ხოლმე. ახლაც იმას მივმართე. ვაჭარმა მაშინადვე მიპასუხა, რომ სწორედ მაგგვარი საათი მაქვსო (მე-კი არ ვიცოდი რომ ექნებოდა. ჩემთვის სუყველაფერი ჰქონდა. ესეც ბედნიერებაა?).

— საათი ძველი დროის და ხასიათისაა და ახლა ძვირად-ღა შეჰხვდებით სადმეო, მითხრა ვაჭარმა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვაჭარმა საათის სურათი გამომიგზავნა და შემომითვალა—გამოვგზავნო საათი თუ არაო.

სურათიდგან და აღწერილობიდგან სჩანდა, რომ საათი შესაფერი იყო და მეც შევუთვალე.

— თანხმა ვარ და დაუყოვნებლივ გამომიგზავნე მეთქი. სამი დღის შემდეგ სახლის შემოსავალი კარი დამირახუნეს. წინადაც დაურახუნებიათ კარები, მაგრამ ეხლა საათის გამოა ლაპარაკი. ფანჯრიდგან გადავიხედე, დავინახე მუშები, რომელთაც საათი მოეტანათ და მხიარულად გადავძახე:

— ძლიერ კარგი! მაღლა ამოიტანეთ!

მუშებმა მიპასუხეს, რომ უბედურებაც სწორედ იმაშია, რომ მაღლა ამოტანა შეუძლებელიაო საჩქაროდ ჩავიდე დაბლა და უზარ-მაზარი ყუთი ვნახე. მუშებმა მითხრეს, რომ საათი ყუთშიაო.

წერაქვი და ცული მოვიტანე, ორი თავისუფალი დურგალი მოვიწვიე და საქმეს შევუდექით, ნახევარს საათის შემდეგ ჩემი საათი ყუთიდგან ამოვიღეთ და ყველა მეზობელთა გასაოცებლად იმის კიბეზედ ატანა გაადვილდა.

საათი სასადილო ოთახის კუთხეში დავადგმევინე. პირველში საათი არა ნებულობდა სწორედ დგომას და წაქცევას ლამობდა, მაგრამ ლურსმანთოკებით მაგრად შევკარ და ახალს ბინას შევაჩვიე, მოქანცული დასაძინებლად გავედი.

ღამე ჩემმა ცოლმა გამაღვიძა და აკანკალებულის შეშინებულის ხმით მითხრა.

— ჩვენმა საათმა ცამეტჯერ დაჰკრა! მერე როგორა გგონია, ჩვენში სიკვდილი რომელს გვიწინასწარმეტყველა?

— არ ვიცი, მაგრამ მგონია-კი მეზობლის ძაღლს აუგო ანდერძი! ვუპასუხე და მეორე გვერდზედ გადავბრუნდი.

ჩემი ცოლი იჭვმა აიტანა; გადაწყვეტით ფიქრობდა, რომ შვილი მამიკვდებოდა და მინამ ძილი დასძლევდა, საცოდავადა სტიროდა.

დილით ჩემი ცოლი დავარწმუნე, რომ წუხელ უეჭველად თვლაში შესცდი მეთქი. ჩემი ცოლი დამთანხმდა და გაიღიმა კიდეც, მაგრამ საუზმის შემდეგ საათმა კვლავ ცამეტჯერ დაჰკრა.

ახლა-კი ჩემი ცოლი კვლავ შიშმა აიტანა. დარწმუნდა, რომ მეც და შვილიც მოვუკვდებოდით და ქვრივ-ოხერი დარჩებოდა. მე ხუმრობაში მინდოდა გამეტარებინა, მაგრამ ამითი ცეცხლს ნავთი მივუმატე. ჩემი ცოლი დარწმუნდა, რომ ჩემს აღსასრულის მოახლოვებას მე უკვე ვგრძნობ და ვცდილობ ხუმრობა-ოხუნჯობით დარდი არ შევიმჩნიო; ამიტომ მითხრა, რომ ვეცდები მოსალოდნელს უბედურებას მხნედ დავუხვდეო.

ბეგლესს ხომ როგორც და რაც-კი შეიძლებოდა ჰლანძღავდა.

მეორე ღამეს საათმა კვლავ გაგვაფრთხილა. ეს გაფრთხილება ჩემმა ცოლმა ჩემს ძალიუა მერიზედ გადაიტანა და ძლიერ არ შეწუხდა, მხოლოდ კი სთქვა: რა სისულელე მოვახდინე, რომ ეს საათი სახლში შემოვიტანეო.

მე ხომ გამიწყრა და მისაყვედურა, თუ როდის მივატოვებ უაზრობა-სისულელეს და სახლს ათას გვარ ძველმანებით არ ავამსებ.

მეორე დღეს საათმა ოთხჯერ კიდევ გაგვაფრთხილა. ეხლა-კი ჩემი ცოლიც გამხიარულდა, თუ ყველას ერთად გვიწერია სიკვდილი, მაშინ საშიში არა არის რა! იმეორებდა ჩემი ცოლი.

შესაძლო იყო ყველანი გადამდების სენით გავმხდარიყავით ავად და ერთს მშვენიერს დღეს დავხოცილიყავით, ჩემი ცოლი მთლად გამხიარულდა, მაგრამ საათი მაინც არ შესდგა. ყველა ჩვენი ნათესავ-ნაცნობნი გაანადგურა და ბოლოს ჩვენს მეზობლებს მიჰყო ხელი. მანამ ჩვენს ირგვლივ ადგილ-მიდამო უდაბნოს არ დაამსგავსა და ჩვენ იმისი წინასწარმეტყველება სიცილად არ გარდაგვექცა, საათი სულ ცამეტჯერ რეკავდა. შემდეგ-კი სულ სხვა გვარი სიმღერა მორთო. ხალხის ჟლეტას თავი დაანება და უხიფათო უაზრო ოც-და-ცხრამეტ-ორმოც-დ-ერთ ერთჯერ და იწყო რეკვა. ახლა იმისი საყვარელი რიცხვი ოც-და-თორმეტი გახდა, მხოლოდ დღეში ერთხელ-კი უეჭველად ორმოც-და-ცხრაჯერ დაჰრეკავს ხოლმე. ჩემი საათი ერთს დანიშნულს დროს-კი არა ჰრეკავს, არა როგორც სურვილი და გუნება მოუვლის ხოლმე.

ხან-და-ხან თავისს თვალთ-მაქცობას ერთს საათში ორჯელ-სამჯერ იმეორებს, ხან-კი ნახევარი დღე ისე ვავა, რომ იმის ხმას ვერ გაიგონებ.

საგანგებო საათია სწორედ!

რამდენჯერმე დავაპირე, მესაათე მომეწვია, გამესწორებინა და წესიერ საათად გადამეკეთებინა, მაგრამ თან და-თან ძლიერ შემიყვარდა. მერე იცით თუ რადა? მხოლოდ იმიტომ რომ ასე დაურიდებლად პირდაპირ დასცინოდა დროს.

საათები დროს არავითარს პატივისცემას არ უწევენ, არა, დასცინიან კიდეც. „შუადღის სამის ნახევარს“ ისინი „ოც-და თვრამეტს საათს“ ეძახიან და ოცი წამის შემდეგ შუადღეს გაჩვენებენ! ხშირად დავფიქრდები ხოლმე: ნუ თუ მართლა საათებს თავიანთი ბატონი დრო ასე ეზიზღებათ და ამ ზიზღს არც-კი ჰმალავენ?

გამიგონია, რომ ბატონი თვისის მსახურისათვის გმირი არ არისო! შეიძლება უბრყვილო დროც თვისის ძველის მსახურის თვალში უბრალო მოკვდავადა სჩანს და ამიტომ ასე აბუჩად არის აგდებული!

მრავალი წლის განმავლობაში ერთგვარმა მსვლელობამ საათები შეიძლება დაარწმუნა, რომ დრო მართლა ისეთი ძლიერი და დიადი არ ყოფილა, როგორც იგი მხდალს ადამიანს წარმოუდგენია!

იქნება ჩემი საათი, როცა „ოც-და-თხუთმეტსა“ და „ორმოც“-ჯერ რეკავს, გულში იცინის და ამბობს:

— ჰმ! კარგად გიცნობ დროვ! შენც როგორც ჩვენ, ჩრდილი და დამთქნარება ხარ!

ხალხნო! ნუ გეშინიანთ დროსი! არც ის არის უკვდავი. არა! დრო არის მხოლოდ ჩრდილი, რომლითაც ქვეყნიერება საუკუნესა ჩრდილავს...

ი. კახელი.

თები კვირა-უქმეობით არ გამოდიოდნენ, ეხლა-კი ამ დღეებშიაც იბეჭდებიან. ფასი იაპონიის გაზეთებისა მეტად იაფია. ამ რიგად მარტო მიკადოს დედა-ქალაქში გამოდის 700 ჟურნალ-გაზეთი. ამის გარდა მრავალი გაზეთი პროვინციებშიაც იბეჭდება.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** 1848 წელს თებერვალში მომხდარ რევოლიუციას საფრანგეთში ყოველ წლივ დღესასწაულობენ ხოლმე. წელსაც რადიკალებმა დიდის ამბით გადიხადეს დაწესებული დღესასწაული. უმრავლესი ყრილობა-ბანკეტი იყო პარისის ახლო, სენ-მანდეში, სადაც გობლემ და ფლოკემ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვეს. გობლემ, სხვათა შორის, განმარტა, რომ ტყუილია ის აზრი, ვითომ რადიკალები სოციალისტების მტერნი არიანო. ბევრის საგნის შესახებ რადიკალები და სოციალისტები ერთნაირად სჯიან, ერთისა და იმავე შეხედულებისა არიანო. რადიკალები მხოლოდ ამას თხოულობენ, რომ სოციალისტებმა, თავისს მოსაზრებათა განსახორციელებლად კანონიერს საშუალებას მიჰმართონ, კანონიერს გზას არ გადუხვიონ. ფლოკემ თავისს სიტყვაში გაახსენა რესპუბლიკელთ, მეორე რესპუბლიკა დაღუპა იმ გარემოებამ, რომ რესპუბლიკელნი დაუახლოვდნენ ეგრედ წოდებულ „მონანიებულთ“-ესე იგი მონარქიელთ, რომელნიც რესპუბლიკურს წესწყობილებას ვითომ ურიგდებიანო.

—

ამ დღეებში საფრანგეთის პარლამენტში ერთს დეპუტატს შეუტანია კანონ-პროექტი, რომლის ძალით ომიანობის დროს უნდა შესწყდეს პარლამენტისა და სენატის მოღვაწეობა. იმათი მაგიერობა უნდა იკისროს 50 კაცმა, რომელთა სჯა საჯარო არ უნდა იქმნას და რომელთაც დიქტატურის უფლებანი მიენიჭებათ. ეჭვი არ არის, რომ საფრანგეთის პარლამენტი უარ-ჰყოფს ამ კანონ-პროექტს, მაგრამ ისიც საკვირველია, რომ ამგვარი აზრი იბადება ხოლმე. განა შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, რომ ამგვარი პროექტი, მაგალითად, ინგლისის პარლამენტს წარუდგინოს ვინმემ! რაღა გასაკვირველია, რომ „მოსკოვის ვედომოსტები“ ამ პროექტის შესახებ გაიძახიან: „საფრანგეთის ხალხს მოსწყინდა პარლამენტარიზმიო“. მაგრამ რად უნდა შეჩერდნენ შუა გზაზედ, რა საჭიროა ეს 50 კაცი, თუ 50 კაცის მართველობა კარგია, ხუთს რა უჭირს, თუ ხუთი ივარგებს, ის არ სჯობია ერთი იყოს თვით-მპყრობელის უფლებებით აღჭურვილი?!

### უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

გაზ. „ფიგარო“ წინადვე აღტაცებაშია რუსეთის მომავალ გამოფენის გამო, რომელიც ამ წლის აპრილში დაიწყება და ოქტომბრამდის გაგრძელდება. გამოფენა ცხენებისა და ეთნოგრაფიული მოთავსებული იქმნება სამანქანო განყოფილებაში, მარსის მინდორში, მოედანზედ და პარიზის მახლობელს ბაღში. გამოფენაზედ რუსეთის სხვა-და-სხვა ჯიშის ცხენები იქმნებიან, რიცხვით 50-დის. მაგრამ გამოფენაზედ მარტო ცხენები არ იქმნებიან სანახავი, არამედ თვით სანაქებო მხედარნიც. ფრანგებს იმედი აქვთ, რომ ამ გამოფენაზედ ჰნახავენ ყველა საუკეთესო რუსეთის მხედარ ყაზახებს, კავკასიის ცხენოსნებს მათის პატარა, მაგრამ მალიან მარდისა და ჭკვიანის ცხენებით. ფრანგები, რომლებსაც მხოლოდ შორიდგან აქვთ გაგონილი მათი ცხენოსნობა და სიმარდე, წინადვე სტკბებიან ამ სანახაობით, რომლის ნახვასაც მალე პარისში ეღირსებიან. ჭიპოდრომის გვერდით დატოვებული იქნება დიდი მოედანი რუსულ საქონლისათვის (იარმუკა), რომელშიაც გამოფენილი იქმნება რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებისა და გუბერნიების ყოველგვარი ნაწარმოებები. ამ საქონლის გამსყიდველებად გამოფენაზედ იქმნებიან ამავე ადგილების მცხოვრებელნი თავისს ეროვნულს ტანისამოსში. გამოფენის შუაგულ ყველაზედ მეტს ყურადღებას „ტფილისის ქუჩა“ მიიპყრობს, რომელიც ფიცრულით იქმნება შემოზღუდული. აქ იქმნება ხოლმე გამართული სხვა-და-სხვა ნაციონალური ცეკვა, სხვათა შორის ლეკური და „გაზაჩკა“ (?), დაუკრავს მესაკრავეთა დასი. გამოფენაზედ საფრანგეთის რესპუბლიკა გამოჰფენს საფრანგეთის თავად-აზნაურთა და საზოგადოდ მთელის ევროპის გამოჩენილ ქვეყნების თავად-აზნაურთა საგვარეულო გერბებს, აგრეთვე ყველაფერს, რაც-კი ნადირობას შეეხება: იარაღს, მიმღებს, სურათებსა და სხვებს

—

ნიუ-იორკისა და სანკტ-პეტერბურგის ქალაქებში, სადაც ხშირად ჩნდება ხოლმე სხვა-და-სხვა გადამდები ავადმყოფობანი, მაგალითად: ხუნაგი, ყვავილი, წითელა და სხვ. ძლიერ საშიშია მცხოვრებლებისათვის ერთის სახლიდგან მეორეში გადასვლა. ამ მხრივ ნიუ-იორკელს მცხოვრებლებს დიდს დახმარებას უწევს ადგილობრივი სასანიტარო კომისია. ამ კომისიის დადგენილებით იმ სახლის პატრონი, სადაც გადამდები ავადმყოფობა იყო, მოვალეა გამოჰკიდოს ხოლმე სხვა-და-სხვა ფერი დაფები. თუ ხუნაგი იყო თეთრ-ფერისა, თუ ყვავილი — წითელი, თუ წითელა ლურჯი. ეს დაფები იმდენხანს არის ხოლმე გამოფენილი,ვიდრე სასანიტარო კომისია არ დარწმუნდება, რომ სახლი სრულიად განთავისუფლდა ავადმყოფობისაგან.

### შემოწირულება.

ქართულის გალობის ნოტებად დაწყობისა და დაბეჭდვის სასარგებლოდ ბ-ნ არისტო ქუთათელაძისაგან მივიღე სამი თუმანი. ეს ფული შემოსწირა დავით ზაქარიას ძემ სარაჯიშვილმა.

ამ სამი თუმნით მიღებული მექმნება 711 მან. და 5 კაპ.

მ. შარაძე.

### „ივერიის“ ფოსტა

—

ქ. ზუგდიდს. X-ს. თქვენი წერილი, რასაკვირველია, არ დაიბეჭდება: 1, იმისთვის, რომ თქვენგან მოწერილი ამბავი სრულიად დასაჯერებელი არ არის და 2, თუ სიმართლე თქვენსკენ იყოს—მაშინ თქვენს ნამდვილს ვინაობასაც გვაცნობებდით და ნიღაბს-კი არ ჩამოიფარებდით.

დ. აბ—ას ან—ო კ—ელს: თქვენი წერილი „ფოჩტის“ უფროსის შესახებ ვერ დაიბეჭდება. წარსულს კვირაშიაც სწორედ მაგგვარი საჩივარი მოგვივიდა დ. ლანჩხუთიდგან და დავბეჭდეთ, მაგრამ იმის ნაცვლად, რომ იმ კაცს, ვისაც ეს წერილი შეეხებოდა, თავისი გასამართლებელი წერილი მოეწერა, საყვედური მოგვწერა. ამიტომ ჩვენ ვერ ვკისრულობთ ასეთის წერილების ბეჭდვას, მით უმეტეს, რომ შეგიძლიანთ მიჰმართოთ უფროსის უფროსს, რომელიც თქვენს დასაბუთებულს თხოვნას უყურადღებოდ არ დასტოვებს.

**ინი:** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

**ვ. მ. ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი,** 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა.** 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი,** 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გ. გურკო,** 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 7—7½ საათამდის.

**ა. გ. გურკო.** გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

დიდი სააბრეშუმო ქარხნები
**მოლტიფაოში:** (კორსიკის კუნძულზედ, საფრანგეთში) **აბრეშუმის ჭიისა** ცელიულიარული **თესლი** (პასტერის სისტემით მომზადებული).

**ი. ალოიზისა.**

მსყიდველთ შეუძლიანთ თესლი დაიბარონ ტფილისიდგან, კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისაგან და ქ-ნ დ. სულხანიშვილისაგან, ნიკოლოზის ქუჩა, № 39, თესლი ისყიდება 3 და 5 მისხლიან კოლოფებით; მისხალი 60 კაპეიკად.

(6—869—3)

მეფე დავით აღმაშენებელი
**და იმისი დრო**
ისტორიული მონოგრაფია
ნ. ურბნელისა
**ფასი ორი აბაზი**

## ზეთის სახდელი და საპნის სახარში ქარხნები
## ი. თაიროვისა და კ. ალიხანოვისა

ამ მიმდინარე დიდ-მარხვისათვის შეგიძლიანთ ინებოთ საჭმელში სახმარებლად: შირბახტისა, სელისა და კანაფის ზეთი, აგრეთვე თახვის ყაირ (кастор. масло), სალამპრო და მოხარშული დასაფერავ, გვაქვს აგრეთვ პირველის ღირსების საპონი: ტყვიისა, მარმარილოსი და ზეთისა. ბოთლობით ისყიდება კავკასიის სააფთიაქო ნივთების სავაჭრო ამხანაგობის მაღაზიაში, გოლოვინის პროსპექტზედ ჯოვანთან, სახლი დობრჟანსკისა და ვორონცოვის ძეგლთან, დარჩო ბაქაროვთან, ნიკოლოზის ქუჩა, ალექსანდრე—ნეველის ეკკლესიის პირდაპირ და ჩალმაიანცთან, სახლი № 1 პანასევიჩის ქუჩა.

წვრილ-წვრილად სყიდვა შეიძლება საკუთარს მაღაზიებში მიხეილის ქუჩაზედ, სახლი კარალოვისა, ძეგლთან, იარმუკაზედ ბუღდანოვის სახლი, თათრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა, ავლაბრის მოედანზედ, ქალაქის ფარდულა და ოლღას ქუჩაზედ, მებურნუთოვის სახლი.

ერთიანად სყიდვა შეიძლება ქარხანაში, ერევნის გზატკეცილი, საკუთარი სახლი.

საკუთარს მაღაზიებში და ქარხანაში ისყიდება აგრეთვე საქონლის აკვები ჩენჩო.

(10—982—3).



## „ივერია“

1895 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . | 5 „ 50„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | | 4 „ 75„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . | 2 „ 75„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІА“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქი გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვარობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.



საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში ისყიდება
ვალერიან გუნიას მიერ
შედგენილი და გამოცემული
**საქართველოს კალენდარი 1895 წ.**
წიგნი შეიცავს 600-მდე გვერდს და დასურათებულია 65 ნახატებით,
ფასი 50 კაპ.

**უბის წიგნი 1895 წ.**
მშვენიერს ყდაში და ყარანდაშით, ფასი 30 კაპ.

**საოჯახო კედლის კალენდარი 1895 წ.**
დასურათებული და ფერად წამლით დასტამბული,
ფასი 10 კაპ.

**სახალხო კალენდარი 1895 წ.**
დასურათებული და მრავალ საჭირო ცნობებით შევსებული,
ფასი 5 კაპ.

**ქართული მიწერ-მოწერის პრებული**
სახალხო გამოცემა,
ფასი 15 კაპ.


Дозвено цензурою, Тифлисъ 21-го Февраля 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე